ძირითადი შეფასებები და დაშვებები

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან.

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

5. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები (გაგრძელება)

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს კომპანია აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ კომპანიის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

6. ძირითადი საშუალებები**ფულადი ერთეული-ათასი ლარი**

	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა- დანადგარი	დამთავრებული შენებლობა *	ფასის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2018წ.	14	487	1,422	-	33	8	1,964
შესყიდვა/კაპიტალიზება	-	-	409	873	5	-	1,287
გაყიდვა/ჩამოწერა	-	-	(1)	-	(1)	-	(2)
დას.საწყისი ღირ-ბა	22,827	439	-	13	-	-	23,279
31.12.2018წ.	22,841	926	1,830	886	37	8	26,528

დაგროვილი ცვეთა

01.01.2018	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა მიმდინარე	-	(93)	(126)	-	(7)	(1)	(227)
31.12.2018	-	(93)	(126)	-	(7)	(1)	(227)
საბალანსო ღირებულება							
01.01.2018	14	487	1,422	-	33	8	1,964
31.12.2018	22,841	833	1,704	886	30	7	26,301

მსს ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავდა საბალანსო ღირებულებით, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც თვითღირებულება შემცირებული დაგროვილი ცვეთით. მსს ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლამდე, კომპანიამ ერთჯერადად მოიწვია დამოუკიდებელი შემფასებელი და მოახდინა მის საკუთრებაში არსებული ქონების სრული გადაფასება 01-01-2018წ. მდგომარეობით. მოწვეულმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა შეაფასა საბაზრო ღირებულებით, სადაც გამოყენებულ იქნა შემოსავლების მეთოდი. რადგან კომპანიისთვის მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი, კომპანიამ მოახდინა გადაფასებული ძირითადი საშუალებების ღირებულების გადაანგარიშება აღნიშნული თარიღისთვისაც (მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის) ცვეთის განაკვეთის გათვალისწინებით. გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი თანხა აღიარებულ იქნა მიმდინარე პერიოდის მოგებაში და ზარალში.

❖ კომპანია საკუთარი სახსრებით აშენებს საფერმეტაციო საამქროს.

❖ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
მარაგები	276	196
მზა პროდუქცია	229	163
სარეალიზაციო წერტილები	15	14
სხვა მარეგები	-	4
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:	520	377

8. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

კომპანიამ 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში მომწოდებელზე ავანსად გადარიცხა მანქანა-დანადგარების ღირებულება, რომელიც გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში შეადგენს 1,321 ათას ლარს.

9. საგადასახადო ვალდებულება და აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული საბიუჯეტო აქტივი, რომელიც შეადგენს 19 ათას ლარს, წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ დღგ-ს პერიოდის ბოლოს.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	32	388
ფულადი სახსრები ბანკში ევროში	21	22
ფულადი სახსრები ბანკში დოლარში	-	54
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	31	48
საერთო ჯამში:	84	512

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	10	-
გადასახდელი ხელფასები	1	-
სულ დავალიანება:	11	-

12. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება შემდეგია:

	დასრულების თარიღი	ვალუტა	გრძელვადიანი/მოკლევადიანი	
			31.12.2018	01.01.2018
სს საქართველოს ბანკი	8/02/2021-			
სს საქართველოს ბანკი	10/25/2024	EUR	2,539	1,185
სს საქართველოს ბანკი	10/25/2019	GEL	300	-
სულ სასესხო ვალდებულება			2,839	1,185

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	2018
სს საქართველოს ბანკი N 5595124	8%	10/25/2024	EUR	1,705 GEL
სს საქართველოს ბანკი N 3733711	8%	08/02/2021	EUR	834 GEL
სს საქართველოს ბანკი N 5798863	11%	10/25/2019	GEL	300 GEL
				2,839 GEL

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით.

13. შემოსავალი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

31 დეკემბერი 2018

შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	3,326
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან/საიჯარო მომსახურება	90
სულ შემოსავალი	3,416

➤ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

31 დეკემბერი 2018

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(894)
არაპირდაპირი ხელფასი	(416)
ცვეთა და ამორტიზაცია	(98)
ელექტრო-ენერგიის ხარჯი	(84)
ძირითადი საშუალების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(75)
ბუნებრივი აირის ხარჯი	(55)
სულ	(1,622)

14. საოპერაციო ხარჯი**ფულადი ერთეული-ათასი ლარი****31 დეკემბერი 2018**

წყლის ხარჯი	(49)
ქონების გადასახადის ხარჯი	(32)
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(12)
სარკინიგზო მომსახურების ხარჯი	(9)
დანაკარგები ლუდის წარმოებიდან	(8)
დაზღვევის ხარჯი	(8)
სანებართვო მოსაკრებლის ხარჯი	(8)
ლაბორატორიული კვლევითი ხარჯი	(6)
მომსახურების ხარჯი	(6)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(4)
დაცვის მომსახურების ხარჯი	(3)
ელექტრო-ენერგიის ხარჯი	(3)
საექსპერტო მომსახურების ხარჯი	(2)
ბუნებრივი რესურსების გადასახადი	(1)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(24)
სულ საოპერაციო ხარჯი:	(175)

15. ადმინისტრაციული ხარჯი**ფულადი ერთეული-ათასი ლარი****31 დეკემბერი 2018**

ცვეთა და ამორტიზაცია	(89)
მივლინების ხარჯი	(18)
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(5)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(4)
სულ ადმინისტრაციული ხარჯი:	(116)

16. ძირითადი საშუალებების დასაშვები საწყისი ღირებულების შედეგი

კომპანიამ ისარგებლა შეღავათით 35-ე განყოფილების 10 (გ) პუნქტის საფუძველზე და განსაზღვრა ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება მსს ფასს-ზე გადასვლის დღისთვის და მისგან მიღებული შედეგი აღიარა მიმდინარე პერიოდის მოგებაში და ზარალში. ამისთვის კომპანიამ მოიწვია გარე შემფასებელი.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით დასაშვები საწყისი ღირებულების შედეგით გამოწვეულმა არასაოპერაციო შემოსავალმა
შეადგინა 23'279 ათასი ლარი.

17. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

31 დეკემბერი 2018

ფინანსური შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშზე	2
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი	1
სულ ფინანსური შემოსავალი:	3

ფინანსური ხარჯი

31 დეკემბერი 2018

საპროცენტო ხარჯი	(134)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ხარჯი	(89)
საბანკო ხარჯი	(20)
სულ ფინანსური ხარჯი:	(243)

18. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი**31 დეკემბერი 2018****ფინანსური აქტივები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	84
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5

სულ ფინანსური აქტივები	89
-------------------------------	-----------

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11
სასესხო ვალდებულება	2,839

სულ ფინანსური ვალდებულებები	2,850
------------------------------------	--------------

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

➤ საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

➤ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ფულადი ერთეული-ათასი ლარი**

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	63	-	21	84
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5	-	-	5
სულ ფინანსური აქტივები	68	-	21	89
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	-	-	11
სასესხო ვალდებულება	300	-	2,539	2,839
სულ ფინანსური ვალდებულებები	311		2,539	2,850

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანიას გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავენსით გადახდა). საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ქართული ლარი

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	11	-	11
სასესხო ვალდებულებები	891	1,948	-	2,839
სულ ფინანსური ვალდებულებები	891	1,959	-	2,850

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს კომპანიის მეწილეები და უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ქართული ლარი

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები

31 დეკემბერი 2018

შრომის ანაზღაურება

-

ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული

31 დეკემბერი 2018

შრომის ანაზღაურება

171

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგების გამოცემამდე კომპანიამ 2018 წლის შედეგების მიხედვით გაანაწილა და გასცა დივიდენდი 43'344.00 ლარი.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2019 წლის 25 ნოემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

შპს ლუდი ბათუმური (245 399 091)

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის
მმართველობითი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს “ლუდი ბათუმური” (ს/კ245 399 091) (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). „კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ., N 24. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 01/04-820 და საიდენტიფიკაციო კოდი: 245 399 091.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლუდის წარმოება, რომლის რეალიზება ხდება საქართველოში. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი ნანა ჯანელიძე (პ/ნ 61001008469).

2. კომპანიის განვითარების გეგმები:

კომპანიაში დაგეგმილი პროექტები არ არსებობს. კომპანიის გრძელვადიანი გეგმა უფრო მეტი ერთგული პარტნიორის მოზიდვა.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანიას გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავანსით გადახდა).

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 84 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (**საპროცენტო რისკი**) და ვალუტის კურსის (**სავალუტო რისკი**) ცვლილებების შედეგად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

5. კომპანიის სესხები:

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მიღებული სესხები მოხმარდა შენობის მშენებლობას, რომელსაც კომპანია აშენებდა საკუთარი სახსრებით. 2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულების ნაშთი (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 2839 ათას ლარს.

6. კომპანიის სახელზე რიცხული დაუმთავრებელი მშენებლობა:

2018 წლის დეკემბრის თვეში კომპანიას ბალანსზე გააჩნია 886 ათას ლარის ღირებულების დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი.

7. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

8. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „ლუდი ბათუმური“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აღდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 25-11-2019 წ.

დირექტორი:

ნანა ჯანელიძე

(245399091)

შპს ლუდი ბათუმური

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

**მმართველობითი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საქმიანობის შედეგების მიმოხილვა**

შპს „ლუდი ბათუმური“ (ს/კ245 399 091) (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). „კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ., N 24. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 01/04-820 და საიდენტიფიკაციო კოდი: 245 399 091.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლუდის წარმოება, რომლის რეალიზება ხდება საქართველოში. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს ერთ საწარმოო ობიექტს და არ აქვს ფილიალი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი ნანა ჯანელიძე (პ/ნ 61001008469).

2. კომპანიის განვითარების გეგმები:

კომპანიაში დაგეგმილი პროექტები არ არსებობს. კომპანიის გრძელვადიანი გეგმა უფრო მეტი ერთგული პარტნიორის მოზიდვა.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და

1 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 1-დან 48 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

(245399091)

შპს ლუდი ბათუმური

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ზორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანიას გააჩნია პროცედურები, რომელთა მეშვეობით იგი უზრუნველყოფს, რომ მომსახურება გაეწიოს სათანადო საკრედიტო ისტორიის კლიენტებს და/ან ამოქმედდეს გადახდის ალტერნატიული პროცედურები (ავანსით გადახდა).

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის მიხედვით განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას.

2 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 1-დან 48 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ლუდი ბათუმური

(245399091)

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 84 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

3 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 1-დან 48 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

(245399091)

შპს ლუდი ბათუმური

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

5. კომპანიის სესხები:

მიღებული სესხები მოხმარდა შენობის მშენებლობას, რომელსაც კომპანია აშენებდა საკუთარი სახსრებით. 2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულების ნაშთი (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 2839 ათას ლარს.

6. კომპანიის სახელზე რიცხული დაუმთავრებელი მშენებლობა:

2018 წლის დეკემბრის თვეში კომპანიას ბალანსზე გააჩნია 886 ათას ლარის ღირებულების დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი.

7. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

8. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „ლუდი ბათუმური“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 25-11-2019 წ.

დირექტორი:



ნანა ჯანელიძე



4 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 1-დან 48 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2019 წლის 25 ნოემბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი მოსაზრება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2019 წლის 25 ნოემბერს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ, მაგრამ ჩვენი აზრით, შპს „ლუდი ბათუმური“-ს (ს/კ 245 399 091) მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ნიკოლოზ ბაკაშვილი

შპს აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“-ს სახელით, აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

25 ნოემბერი, 2019 წელი

ქ.თბილისი, საქართველო

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2019 წლის 25 ნოემბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი მოსაზრება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2019 წლის 25 ნოემბერს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ, მაგრამ ჩვენი აზრით, შპს „ლუდი ბათუმური“-ს (ს/კ 245 399 091) მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ნიკოლოზ ბაკაშვილი

შპს აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“-ს სახელით, აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

25 ნოემბერი, 2019 წელი

ქ.თბილისი, საქართველო

